საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №151
2014 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 მარტიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**

დანართი

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოდან გატანის პროცედურებსა და პირობებს.

მუხლი 2

1. უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის ჯილდოდ გადაცემული სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის საქართველოდან გატანის შემთხვევაში გაიცემა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირი) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ნებართვას გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში – მომსახურების სააგენტო).

მუხლი 3

1. უცხო ქვეყნის მოქალაქემ ამ ბრძანების მე-2 მუხლით განსაზღვრული ნებართვის მისაღებად მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის დამადასტურებელი სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სათანადო დოკუმენტი, რომლის წარდგენაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულად წარდგენის შემთხვევაში, მომსახურების სააგენტო გასცემს ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის ნებართვას.

მუხლი 4

1. უცხო ქვეყნის მოქალაქემ, ჯილდოდ გადაცემული სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის

საქართველოდან გატანის შემთხვევაში თან უნდა იქონიოს:
ა) საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირი) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა;

ბ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის დამადასტურებელი სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების შესაბამისი თარგმანი, რომელსაც უზრუნველყოფს ჯილდოს გამცემი სახელმწიფო ორგანო/თანამდებობის პირი;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჯილდოდ მიღებული სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის საქართველოდან გატანის, მათ შორის, გადატანა-გადაზიდვის სხვა პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.